პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი 09.08.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას" დირექტორის მოადგილე, სხდომის მდივანი;
ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
ირაკლი პეტრიაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ბადრი ტარიელაშვილი - შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის დირექტორი;
2. გენო თოდუა - შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ხარისხის მართვის ხელმძღვანელი.
3. რევაზ ბიგვავა - შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტი):

ელენე გვენცაძე;
მაყვალა დარსანია.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:25 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.თავმჯდომრემ საბჭოს წევრებს მიუთითა 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა განაცხადა, რომ შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა მიმდინარეობდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 8 აგვისტოს სხდომაზე. საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადება მოხდა მომდევნო სხდომისათვის, ავტორიზაციის პროცედურასთან დაკავშირებით საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით.

ქეთევან ჯაყელმა შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის დაფუძნების ფაქტთან დაკავშირებით განმარტების გაკეთება სთხოვა ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ლაშა მარგიშვილს.

ლაშა მარგიშვილის განმარტებით, შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯს ავტორიზაცია მიენიჭა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 18 აგვისტოს N140 გადაწყვეტილებით. პროფესიულ კოლეჯს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 125 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულების დამფუძნებელი იყო სსიპ - ,,საწარმოთა მართვის სააგენტო'' - 100% წილის მესაკუთრე (04.03.2010 მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად). შემდგომში სახელმწიფო - 100% წილის მესაკუთრე (08.11.2010 მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად). ხოლო ბოლო მონაცემებით, დაწესებულების მესაკუთრე იყო თვითმმართველი თემი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - 100% წილის მესაკუთრე (20.07.2016 ამეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად).

,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ქმნიან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. დაწესებულება კი დაფუძნებული იყო ,,შპს''-ის ფორმით. შესაბამისად, დაწესებულების დაფუძნების სამართლებრივ ფორმაში იყო დაშვებული შეცდომა. რაც შეეხებოდა დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის საფუძველს, დაწესებულებას უფლება ჰქონდა ისინი უგამოცდო ჩაერიცხა. გამომიდნარე იქიდან, რომ დაწესებულების დამფუძნებელი იყო არა სახელმწიფო, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობა. შესაბამისად, შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯი არ წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პრობლემის შესახებ წლების განმავლობაში იყო ცნობილი, თუმცა მისი გადაჭრის გზები ჯერ ვერ მოიძებნა. ამასთან, ის ფაქტიც იყო გასათვალისწინებელი, რომ ეს საკითხი მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაფიქსირდა და მათ ბრალი არ მიუძღვოდათ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ არაერთხელ მიმართეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას აღნიშნული საკითხის მოგვარების მოთხოვნით, კერძოდ მომხდარიყო დაწესებულებისათვის სამართლებრივი ფორმის ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულებაში სასწავლო პროცესის დაწყებამდე უნდა მომხდარიყო აღნიშნულ კანონდარღვევაზე რეაგირების მოხდენა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს თუ ხდება ექსპერტების მიერ დაწესებულების დაფუძნებასთან დაკავშირებული საკითხის მოკვლევა. ექსპერტის განმარტებით, ავტორიზაციის ვიზიტის დროს დაწესებულების, როგორც იურიდიული პირის დაფუძნების საკითხის მოკვლევა არ ხდება.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა რომ ცალსახად დაწესებულების დაფუძნებისას დაშვებულ შეცდომას ჰქონდა ადგილი, ავტორიზაციის სტანდარტებით არ იყო გათვალისწინებული ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების დაფუძნებისა და მისი სამართლებრივი ფორმის განსაზღვრის შემოწმების საკითხი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა საბჭოს სხდომაზე ზეპირი მოსმენისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა დაწესებულების დამფუძნებლების მიერ კანონის მოთხოვნის გაუთვალისწინებლობის ფაქტს, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება დაეფუძნებინა მხოლოდ „ა(ა)იპ"-ის სამართლებრივი ფორმით.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს წევრების ერთიანი პოზიცია იყო, ავტორიზაციის სტანდარტებში გაწერილიყო ავტორიზაციის მაძიებლის დაფუძნების საკითხის მოკვლევა, კერძოდ, სამომავლოდ ყურადღება იქნეს გამახვილებული ავტორიზაციის მაძიებლის სამართლებრივ ფორმაზე.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის დაფუძნებასთან დაკავშირებული საკითხის გადაჭრის მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა ხელახლა გადაიდოს საბჭოს მომდევნო სხდომისთვის. ქეთევან ჯაყელმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და ურჩია, რომ დაუყონებლივ მიემართათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის დაწესებულების სამართლებრივ ფორმასთან დაკავშირებული საკითხის მოგვარების მიზნით.

ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების ავტორიზაციის ვადა იწურებოდა 2016 წლის 18 აგვისტოს. შესაბამისად, ამ ვადის გასვლამდე თუ ვერ მოხდებოდა დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა საბჭოს სხდომაზე, დაწესებულება ვალდებული იყო აღნიშნულის თაობაზე ეცნობებინა თავისი პროფესიული სტუდენტებისათვის და უზრუნველყო მათი მობილობის პროცესის დაწყება სხვა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს დამატებით მოახსენა, რომ 2016 წლის 18 აგვისტოს შემდგომ დაწესებულებას აღარ ექნებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:20 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე